საქართველოს მთავრობის

დადგენილება №766

2020 წლის 21 დეკემბერი

ქ. თბილისი

,,დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა განვითარების 2020 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 30 დეკემბრის №665 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ,,დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა განვითარების 2020 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 30 დეკემბრის №665 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 31/12/2019, 190020010.10.003.021687) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული ,,დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა განვითარების 2020 წლის სახელმწიფო პროგრამის“ მე-3 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„1. პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრება 443 600 (ოთხას ორმოცდასამი ათას ექვსასი) ლარით.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი **გიორგი გახარია**